მოკლე ბიოგრაფია

სამართლის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი და „კავკასიის სამართლის ჟურნალის“ (Caucasus Law Journal) მთავარი რედაქტორი. 2026 წლიდან არის European Scientific Journal-ის (ESJ) საერთაშორისო სარედაქციო კოლეგიის წევრი. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს სამოქალაქო, საბანკო, შრომის, სააღსრულებო და ინტელექტუალური საკუთრების სამართალს, ნოტარიატსა და ბლოკჩეინის ტექნოლოგიების სამართლებრივ რეგულირებას.

2011 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა, ხოლო 2016 წელს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამა, წარჩინებით. 2022 წელს კავკასიის უნივერსიტეტში დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი *„მხარეთა უფლება-მოვალეობების თანაბარზომიერი დაცვის სტანდარტი სესხის ხელშეკრულებაში“*. ამავე თემაზე მისი მონოგრაფია 2024 წელს გამოიცა კავკასიის უნივერსიტეტისა და გამომცემლობა „ბონა კაუზას“ მიერ (ISBN: 9789941982019).

კავკასიის უნივერსიტეტში აკადემიურ საქმიანობას 2019 წლიდან ეწევა. ასევე არის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი. 2024–2025 წლებში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლას, საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის საბაკალავრო პროგრამას და „თანამედროვე სამართლის ჟურნალს“.

მისი საერთაშორისო აკადემიური გამოცდილება მოიცავს კვლევით საქმიანობასა და სწავლებას ევროპულ უნივერსიტეტებში. 2025 წელს იყო იტალიის კამპანიის ლუიჯი ვანვიტელის უნივერსიტეტის სტიპენდიატი და იკვლევდა ბლოკჩეინის ტექნოლოგიებისა და კრიპტოვალუტების სამართლებრივი რეგულირების საკითხებს. 2026 წელს Erasmus+ აკადემიური მობილობის ფარგლებში პოლონეთის კაზიმირ დიდის უნივერსიტეტში წაიკითხა ლექციები ლათინური ნოტარიატის შედარებით-სამართლებრივი სისტემების შესახებ. 2025 წელს მონაწილეობდა სამართლის ფაკულტეტების ევროპული ასოციაციის (ELFA) გენერალურ ასამბლეაში, სოფიაში.

2018 წლიდან არის ადვოკატი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. აქვს იურიდიულ პრაქტიკასა და საჯარო ადმინისტრირებაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება; 2022–2024 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნოს; 2018–2022 წლებში ამავე კომისიაში მთავარი სპეციალისტის პოზიციას იკავებდა. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის წევრი.

სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად ეწევა ლიტერატურულ და საგამომცემლო საქმიანობას. არის საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალ „სოხუმის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, ქართულ-აფხაზური ორენოვანი კრებულის „გამშვები პუნქტი“ ავტორი და წიგნის „ვილაპარაკოთ. 33 ამბავი აფხაზეთზე“ შემდგენელ-რედაქტორი. მისი მოთხრობები თარგმნილია აფხაზურ, ინგლისურ, რუსულ, სომხურ, ყაზახურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ირაკლი შამათავა არის გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის, ნიკო ლორთქიფანიძისა და დავით აღმაშენებლის სახელობის ლიტერატურული პრემიების

ლაურეატი. 2016 წელს დაჯილდოვდა ქალაქ ფოთის კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისთვის მიღებული აქვს პრემია „მანდარინები“. 2022 წელს იყო ბერტა ფონ ზუტნერის სახელობის მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ნომინანტი. 2023 წელს მწერალთა სახლის სარეზიდენციო პროგრამის ფარგლებში იმყოფებოდა ესპანეთში, ა-კორუნიის ლიტერატურულ რეზიდენციაში – Residencia Literaria 1863.

გამოქვეყნებული სტატიები

1. Shamatava, I. (2026). Georgia's Intellectual Property Law in an Evolving European Legal Framework: Legislative Reform and the Challenge of Sustained Alignment. Health Policy, Economics & Sociology, 10 (Supplement), Special Issue: "European Union Enlargement: Practices & Challenges". https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.03.06
2. Shamatava, I. (2026). New Legislative Regulation of Factoring Agreements in Georgia. Herald of Law, 07/2026, 8–26. DOI: https://doi.org/10.52340/26679434/H.13.1
3. Shamatava, I. (2026). The Role of the Enforcement Writ Issued by a Notary in Preventive Justice and Effective Enforcement. Law and World, 12(2), No. 38, 99–127, https://doi.org/10.36475/12.2.6
4. Shamatava, I., Ivanidze, M., & Gulbatashvili, N. (2026). Legal Nature and Regulatory Models of Zero-Hours Contracts in a Comparative Legal Perspective. European Scientific Journal, 22(20), 54–75. https://doi.org/10.19044/esj.2026.v22n20p54
5. Davitadze, M., & Shamatava, I. (2026). One Function, Two Regimes: Trusted Flaggers and Regulatory Fragmentation under the Digital Services Act. European Scientific Journal (ESJ), https://doi.org/10.19044/esipreprint.10.2026.p500
6. Gogoladze, M., & Shamatava, I. (2026). The Evolution of the Georgian Notariat: From the State-Controlled Soviet System to Professional Independence and Digital Modernization. European Scientific Journal, 22(39), 32–49. Special Edition: Evolution of the Legal Professions in the Post-Soviet Period, DOI: https://doi.org/10.19044/esj.2026.v22n39p32
7. Zambardino, F., & Shamatava, I. (2025). Crypto-Democracy: Code as the Architecture of Collective Will and the New Foundations of Governance. Cuam University Press, 100–131. Handle: https://hdl.handle.net/11591/582424
8. Shamatava, I. (2024). Notarial Certification of Loan Agreements as an Effective Mechanism for Debt Recovery and the Simplified Enforcement of Due and Payable Claims. Contemporary Law Journal, International Black Sea University, 11–23, https://ibsu.edu.ge/en/research/scientific-journals/contemporary-law-journal/
9. Shamatava, I., & Oniani, M. (2022). *Simplified Proceedings in Georgia Regarding Requests for Payment of Monetary Debts* (Sharing European Experience), Proceedings of the 17th International Silk Road Conference, IBSU, 257–271, https://silkroad.ibsu.edu.ge/wp-content/uploads/2023/11/Silk-Road-2022-Proceedings-Book.pdf
10. Shamatava, I. (2021). The German-Georgian Model of Penalty Regulation: A Comparative Legal Analysis. Law and World, 7(2), No. 17, 86–99. https://doi.org/10.36475/7.2.7
11. Gurgenidze, M., & Shamatava, I. (2021). *Aspects of Enforcement System Development in Georgia (In accordance with the current applicable Law of Georgia "On Enforcement Proceedings" and the new draft "Code of Enforcement"),* Scientific Journal "Spectri", No. 5, 86–96. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/350728/1/Speqtri_2021_N5.pdf#page=86
12. Taliashvili, T., & Shamatava, I. (2020). Recent Evolution of Intellectual Property Enforcement in Georgia. TalTech Journal of European Studies, 10(2/31), 42–56. DOI: https://doi.org/10.1515/bjes-2020-0014
13. Shamatava, I., & Uberi, T. (2020). *Historical Excursus, Evolution and Modern Interpretation of Penalty Regulation (Comparative-Legal Analysis).* Proceedings of the 15th International Silk Road Conference, IBSU, 310–320.

14. Taliashvili, T., & Shamatava, I. (2019). New Legal Regulation of Intellectual Property Protection and Enforcement in Georgia. TSU Law Journal, 2, 12–24. https://jlaw.tsu.ge/index.php/JLaw/article/view/2887
15. Uberi, T., & Shamatava, I. (2019). *ILO Safety Standards and the Necessity of Their Implementation in Georgian Legislation.* Proceedings of the 14th International Silk Road Conference: *Globalization: Trends and Perspectives*, Tbilisi, Georgia, 11–12 October 2019. International Black Sea University, pp. 208–215.

საკონტაქტო ინფორმაცია და სამეცნიერო პროფილები
ელფოსტა: ishamatava@cu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0009-0009-2626-9984
Web of Science: FYC-9950-2022
Scopus: 57223876696
Google Scholar: https://scholar.google.com/citations?user=x0oXV84AAAAJ&hl=en